

ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2014 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანალიზი

1. შესავალი

განათლების უფლება დიდი ხანია აღიარებულია არა მხოლოდ როგორც ხელმისაწვდომობა განათლებაზე, არამედ ასევე ვალდებულება აღმოიფხვრას ყველა სახის ხარვეზი სისტემის ყველა დონეზე და დამტკიცდეს მინიმალური სტანდარტები ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ 2013 წელს შემუშავებულ იქნა განვითარების 6 წლიანი (2014-2019) სტრატეგიული გეგმა, რომლის გათვალისწინებით ყოველ სასწავლო წელს განისაზღვრება მოკლევადიანი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია პრიორიტეტები და მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებით სტუდენტთა დასაქმებასა და თვითდასაქმების შესაძლებლობას, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოტენციალის განვითარებას.

სამოქმედო გეგმა მთავარი მექანიზმია სტრატეგიული გეგმის უწყვეტი განხორციელებისათვის; მოიცავს სტრატეგიის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ ამოცანებსა თუ დაგეგმილ ღონისძიებებს.

ამ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2014 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანალიზი.

2. 2014 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის სტრუქტურა.

2014 წლის სამოქმედო გეგმა შედგება 4 ძირითადი მიმართულებისგან:

1. უსდ-ს სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფა;
2. უსდ-ს სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
3. უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
4. უსდ-ს სტუდენტთა წამახალისებელი აქტივობები.

თითოეულ მიმართულებაში გაწერილია ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების ვადები (კვარტლების მიხედვით) და შემსრულებლები. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული მიმართულებების განვითარებაში მონაწილეობას იღებს სასწავლებლის თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდური მუშაობის პრინციპი მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის. 2014 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმა იხილეთ დანართში N1.

3. სამოქმედო გეგმის განხორციელებით მიღწეული შედეგები.

2014 სასწავლო წელს ახალი უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირებული იყო ჯანსაღი პრიორიტეტების დასახვაზე თავისი საქმიანობის დასაწყებად.

3.1 სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფის მიზნით დაგეგმილი 8 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 8 აქტივობა.

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2014 წლის იანვარში უსდ-ს ტურიზმისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებს, აგრეთვე 2014 წლის ივლისში საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების/სილაბუსების სრულყოფის მიზნით მოდიფიცირების პროცესში შევიდა ცვლილება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში. კერძოდ, სასწავლო გეგმაში მითითებულ 4 საგანს შეეცვალა სტატუსი.
- გამოცხადდა კონკურსი უსდ-ს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.
- სასწავლო პროცესის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა სხვადასხვა ინვენტარი საჭიროების მიხედვით მთელის წლის განმავლობაში.
- ინგლისური ენის , როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო სააგენტოსთან - Cambridge Study ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე , სტუდენტებმა გაიარეს 3 თვიანი უფასო ინგლისური ენის კურსი (პედაგოგი - კავკასიის რეგიონალური დირექტორი დავით კბილაშვილი) .
- თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობები დამყარდა საქართველოს ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან - საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან:
 - ✚ ევროპის ახალგაზრდული ორგანიზაცია;
 - ✚ ვარშავის ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი;
 - ✚ **სომხეთ-რუსეთის უნივერსიტეტი „მხითარ გოშად“;**
 - ✚ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“;
 - ✚ სკოლა „ლამპარი“;
 - ✚ სამოქალაქო პრესა;
 - ✚ საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი;
 - ✚ შპს “ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი“;
 - ✚ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“;
 - ✚ მოლდოვის კოოპერატიულ-სავაჭრო უნივერსიტეტი;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უსდ-მ მოახდინა სტუდენტების ანკეტირება. შეაფასდა, როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სასწავლო პროცესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კვლევის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით შეიმუშავა რეკომენდაციები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საფინანსო სამსახურის მიერ 2014 წლის ფინანსური გეგმა განალიზდა და გაიწერა მომდევნო წლის მოსალოდნელი ხარჯი.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მისი დადგენილი წესით აკრედიტაცია.	X			
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდერნიზაცია.	X			
აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება	X			
სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით.				
ინგლისური ენის, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება;	X			
თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, სტუდენტთა მობილობის,	X			

<p>პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხეშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან</p>				
<p>აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა ანკეტირება, შედეგების ანალიზი და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, მათი გათვალისწინება და მონიტორინგი</p>	<p>X</p>			
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური გეგმის გაანალიზება და მომდევნო წლის მოსალოდნელი ხარჯის გაწერა.</p>	<p>X</p>			

3.2 სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილ 9 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 9 აქტივობა.

- უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით შეძენილ იქნა, როგორც საჭირო ინვენტარი მთელი წლის განმავლობაში, ისე საჭიროების გათალისწინებით.
- სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, განახლდა და შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, ასლგადამღები აპარატურა, პროექტორები, სასწავლო და საოფისე ინვენტარი.
- ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემის ფონდის გამდიდრდა და შეივსო. სამკითხველო დარბაზი დამატებითი ტექნიკით უზრუნველყოფილი იქნა.
- სხვა ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან .
- ავტორიზაციის გავლის პირობებში უსდ-ში უკვე არსებობდა მოწყობილი საკონფერენციო დარბაზი. საჭიროებისამებრ ხორციელდებოდა მისი განახლება სამეურნეო-ტექნიკური რესურსების სამსახურის მიერ.
- სისტემატურად ახლდებოდა სიახლეებითა და სასარგებლო ინფორმაციებით სასწავლებლის ვებ-გვერდი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ხორციერდებოდა ვებ-გვერდის სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.
- უსდ-ს ავტორიზაციის გავლის პირობებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული იყო გარემო (სავარძლით გადაადგილებისათვის განკუთვნილი სპეციალური ასასვლელი). გარდა ამისა 2014 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით პირველ სართულზე გამოიყო აუდიტორია და დახმარების გაწევის მიზნით ადმინისტრაციის 2 წარმომადგენელი .
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი უახლესი კომპიუტერული პროგრამის მოქნილი სისტემის ინსტალაცია და გამოყენება დაიწყო სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, რაც ხელს უწყობდა სტუდენტების ინფორმაციულობის გაზრდას სასასწავლო პროცესთან დაკავშირებით. ასევე

უსდ-მ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინფოსერვის“-თან ნორმატიული აქტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა „კოდექსი-ოფისი 2007 R3“ -ის ინფორმაციულ მომსახურეობაზე.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.	X			
უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკის, ასლგადამღები აპარატურის, პროექტორების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა/განახლება	X			
ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება/შევსება; სამკითხველო დარბაზის დამატებითი ტექნიკით უზრუნველყოფა;	X			
სხვა ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.	X			

საკონფერენციო დარბაზის მოწყობა/განახლება	X			
ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება	X			
სპეციალური საჭიროების პირებისათვის სპეციალური ოთახის გამოყოფა	X			
საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესყიდვა/ინსტალაცია	X			

3.3 უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი 4 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 1 აქტივობა, 3 ნაწილობრივ შესრულდა.

- ჩატარდა უსდ-ს სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. ასევე გამოიცა სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენციის თეზისების კრებული.
- უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალი მივლინებულ იქნა ქ. ვარშავაში, ასევე ქ. ნიუ-იორკში, ქ. ლიონში, ქ. კიშინიოვში საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

- უსდ-ს სამეცნიერო ჟურნალის მომზადებაზე დაიწყო აქტიური მუშაობა.
- უსდ-ს ცნობადობის ამაღლების მიზნით , როგორც წლიური ფინანსური გეგმის გაანალიზებიდან ჩანს გაიხარჯა ათას ლარზე მეტი. აგრეთვე, სარეკლამო მასალის განთავსების მიზნით გაზეთ „ახალი განათლებასთან“ დაიდო ხელშეკრულება .

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
უსდ-ში სასწავლო-სამეცნიერო ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და ოლიმპიადების ჩატარება		X		ჩატარდა მხოლოდ ადგილობრივი კონფერენცია.
უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში		X		საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ადმინისტრაციულმა პერსონალმა
უსდ-ს სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და პერიოდული გამოცემა		X		დაიწყო აქტიური მომზადება ჟურნალის მოსამზადებლად , თუმცა გამოცემა არ

				მომხდარა
უსდ-ს ამაღლების პიარის (სარეკლამო მომსახურების მიღება)	ცნობადობის მიზნით მხარდაჭერა X			

3.4 უსდ-ში დაგეგმილი სტუდენტთა წამახალისებელი 4 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 4 აქტივობა.

- სასწავლო წლის დაწყებისთანავე, სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის დაინიშნა სტიპენდიები.
- სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს სწავლის საფასურში გაეწიათ შეღავათები. მსგავს მხარდაჭერა განხორციელდა სასწავლო წლის ნებისმიერ კვარტალში, სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის საპრეზიდენტო არჩევნები.
- აქტიური სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით ფინანსდებოდა ექსკურსიები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები. ფინანსური გეგმის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 9 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა სტუდენტთა წამახალისებელი აქტივობებისათვის (სტიპენდია, გრანტი, თვითმმართველობისათვის გამოყოფილი თანხები და ა.შ)

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა	X			
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადასახადში შეღავათების გაწევა.	X			
სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება	X			
სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა (დაფინანსება)	X			

